დანართი 1.

ინტერვიუერი: _____ **ნომერი:** _____

შევსების თარიღი: _____ / _____ / 2006 წ.

მისამართი: ქუჩა _____, სახლი № _____, ბინა № _____

დაბა თიანეთის მოსახლეობის აღწერა

<u>ინტერვიუერს</u>: მას შემდეგ, რაც შეარჩიეთ რესპონდენტი ინსტრუქციის თანახმად, აღნიშნეთ, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება რესპონდენტი (<u>ერთი</u> კოდი):

1. რესპონდენტი თვლის თავს ოჯახის უფროსად, მაგრამ არ არის საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი.
2. რესპონდენტი საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ემიგრანტია, მაგრამ არ თვლის თავს ოჯახის უფროსად.
3. რესპონდენტი თვლის თავს ოჯახის უფროსად და ამავდროულად დაბრუნებული ემიგრანტია.
4. რესპონდენტი არ თვლის თავს ოჯახის უფროსად და არც საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი არ არის, მაგრამ კარგადაა ინფორმირებული ოჯახის მდგომარეობის შესახებ.

1. **რესპონდენტის სქესი**: 1 მამაკაცი 2 ქალი

2. **რამდენი წლის ბრძანდებით?** _____ წლის

3. **რა განათლება გაქვთ მიღებული?** (*უჩვენეთ **ბარათი №1**, აღნიშნეთ რესპონდეტის მიერ მიღებული <u>განათლების ყველაზე მაღალი</u> დონე; **ერთი** პასუხი*)

1. დაწყებითი (1-4 კლასები)
2. არასრული საშუალო (5-9 კლასები)
3. საშუალო (11 კლასი)
4. საშუალო სპეციალური (ტექნიკუმი, პროფტექნიკუმი)
5. არასრული უმაღლესი
6. უმაღლესი
7. მაქვს სამეცნიერო ხარისხი

4. **ამ ბარათზე მოყვანილთაგან, რომელია თქვენი <u>ძირითადი</u> საქმიანობა?** *(უჩვენეთ **ბარათი №2**, **<u>ერთი</u>** <u>პასუხი</u>)*

1. მაქვს საკუთარი საქმე
2. ვარ დაქირავებული მუშაკი
3. ვარ პერიოდულად/სეზონურად დასაქმებული
4. ვსწავლობ
5. მივდევ სოფლის მეურნეობას
6. არ ვმუშაობ (და არც ვსწავლობ)
7. ვარ პენსიონერი, ინვალიდი
8. სხვა (*ჩაიწერეთ*) _____
99. მიჭირს პასუხის გაცემა

5. **თქვენი ოჯახური მდგომარეობა?** *(უჩვენეთ **ბარათი №3**, **<u>ერთი</u>** <u>პასუხი</u>)*

1. გასათხოვარი / დასაქორწინებელი
2. გათხოვილი / დაქორწინებული
3. განქორწინებული
4. ქვრივი
5. სხვა *(ჩაწერეთ)* _____

6. <u>**თქვენი თავის ჩათვლით,**</u> **რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ სახლში, რომლებთან ერთადაც ეწევით საერთო მეურნეობას? გთხოვთ, მიუთითოთ ოჯახის იმ წევრების ჩათვლით, ვინც ამჟამად თიანეთში არ იმყოფება.**

_____ ადამიანი

გთხოვთ ჩამოთვალოთ, ვინ არიან ეს ადამიანები:

7. **როგორია თქვენი ნათესაური კავშირი მათთან?** (*აღნიშნეთ ოჯახის ყველა წევრის ნათესაური კავშირი რესპონდენტთან სვეტში* **"ნათესაური კავშირი"**)
8. **მათი ასაკი?** (*აღნიშნეთ ცხრილში ყველას მიმართ*)
9. **მათი განათლების დონე?** *(უჩვენეთ **ბარათი №1;** აღნიშნეთ ცხრილში <u>კოდი</u> ყველას მიმართ)*
10. **სად იმყოფებიან ამჟამად?** (*უჩვენეთ **ბარათი №4;** აღნიშნეთ ცხრილში <u>კოდი</u> ყველას მიმართ*)

<u>ინტერვიუერს</u>: თუ ოჯახის არც ერთი წევრი არ იმყოფება ამჟამად საზღვარგარეთ, ცხრილის შევსების შემდეგ <u>გადადით **კითხვაზე Q1**</u>.

	ნათესაური კავშირი (+)	**რაოდენობა**	**ასაკი**			**განათლება** (ბარათი №1)			**სად არის?** (ბარათი №4)		
მეუღლე		----									
შვილი/შვილები (**რამდენი**?)											
დედა		----									
მამა		----									
და											
ძმა											
რძალი (**რამდენი**?)											
სიძე (**რამდენი**?)											
მული (**რამდენი**?)											
მაზლი (**რამდენი**?)											
დედამთილი		----									
მამამთილი		----									
სიდედრი		----									
სიმამრი		----									
ბებია											
პაპა											
შვილიშვილი (**რამდენი**?)											
სხვა *(ჩაწერეთ, ვინ)*											

მიგრანტები

ახლა გთხოვთ ვისაუბროთ თქვენი ოჯახის იმ სრულწლოვანი (18 წლიდან) წევრების შესახებ, ვინც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. *(წინასწარ მოუხადეთ ბოდიში რესპონდენტს, თუ რომელიმე კითხვას განმეორებით დავუსვამთ.)*

<u>ინტერვიუერს:</u> შეავსეთ შემდეგი ცხრილი.
შემდეგი ცხრილი (კითხვები მ1-მ13) ივსება ოჯახის ყველა იმ <u>სრულწლოვანი</u> (18 წლიდან) წევრისათვის, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის <u>ყოველი</u> წევრისთვის ***გამოიყენეთ ამ ცხრილის ცალკე ჰორიზონტალური ხაზი****.*

მ1. თქვენი ოჯახის რომელი სრულწლოვანი წევრი იმყოფება ამჟამად საზღვარგარეთ? *(ჩაწერეთ საზღვარგარეთ მყოფი ყველა ოჯახის წევრის* ***ნათესაური კავშირი*** *რესპონდენტთან.* ***<u>არ ჩაწეროთ</u>*** *მისი/მათი სახელი და გვარი)*

მ2. აღნიშნეთ საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრის სქესი.

მ3. რამდენი წლისაა ის ამჟამად? (*ჩაწერეთ რამდენი წელი* ***შეუსრულდა***)

მ4. რა განათლება აქვს მიღებული? (*უჩვენეთ* ***<u>ბარათი №1</u>****; ცხრილში ჩაწერეთ მხოლოდ პასუხის შესაბამისი* ***კოდი***)

მ5. მისი ოჯახური მდგომარეობა? (*უჩვენეთ* ***<u>ბარათი №3</u>****; ცხრილში ჩაწერეთ მხოლოდ პასუხის შესაბამისი* ***კოდი***)

მ6. რა იყო მისი საზღვარგარეთ გამგზავრების მიზანი? (*პასუხის ვარიანტები არ წაიკითხოთ; აღნიშნეთ ერთი პასუხი*)

მ7. როდის გაემგზავრა საქართველოდან სულ პირველად და რომელ ქვეყანაში გაემგზავრა მაშინ? *(ჩაწერეთ გამგზავრების* ***წელი*** და ***ქვეყანა)***

მ8. რომელ ქვეყანაშია ის ამჟამად? *(ჩაწერეთ ქვეყანა)*

მ9. წაყვანილი ჰყავს თუ არა თან არასრულწლოვანი შვილი/შვილები?
*თუ "**დიახ**" – ჩაწერეთ, რამდენი შვილი ჰყავს თან წაყვანილი.*

მ1	მ2	მ3	მ4	მ5	მ6	მ7	მ8	მ9
ნათესაური კავშირი	**სქესი**	**ასაკი**	**განათლება** (ბარათი №1)	**ოჯახური მდგომარეობა** (ბარათი №3)	**გამგზავრების მიზანი**	**როდის გაემგზავრა? სად?**	**ქვეყანა**	**არასრულწლოვანი შვილები**
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ წლის			1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა:	წელი: _____ ქვეყანა: _____		1. დიახ *(რამდენი?)* _____ 2. არა 98 არ ჰყავს შვილები
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ წლის			1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა:	წელი: _____ ქვეყანა: _____		1. დიახ *(რამდენი?)* _____ 2. არა 98 არ ჰყავს შვილები
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ წლის			1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა:	წელი: _____ ქვეყანა: _____		1. დიახ *(რამდენი?)* _____ 2. არა 98 არ ჰყავს შვილები
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ წლის			1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა:	წელი: _____ ქვეყანა: _____		1. დიახ *(რამდენი?)* _____ 2. არა 98 არ ჰყავს შვილები

მ10. დაეხმარა თუ არა მას ვინმე ნათესავი / ნაცნობი / მეგობარი საზღვარგარეთ გამგზავრებაში? თუ "**დიახ**": ვინ დაეხმარა? (*ჩაწერეთ **ნათესაური/მეგობრული კავშირი** იმ ადამიანებთან, ვინც მას დაეხმარა. **არ ჩაწეროთ** სახელი და გვარი*)

მ11. შეიცვალა თუ არა მან ემიგრაციის ქვეყანა, რაც წასულია საზღვარგარეთ?

თუ "**დიახ**": ა) რამდენჯერ? (*ჩაწერეთ*)

ბ) რომელი ქვეყნები იყო ეს? *(თანმიმდევრულად ჩაწერეთ ქვეყნების სახელები)*

მ12. რაც წასულია, დაეხმარა თუ არა საქართველოში დარჩენილ ნათესავს/მეგობარს საზღვარგარეთ წასვლაში? თუ "**დიახ**": ვის? *(ჩაწერეთ **ნათესაური/მეგობრული კავშირი** ყველა იმ ადამიანთან, ვისაც ის დაეხმარა. **არ ჩაწეროთ** სახელი და გვარი)*

მ13. რას საქმიანობს იქ ამჟამად? *(ჩაწერეთ)*

მ14. ამჟამად რომელი ქვეყნის მოქალაქეა? (*ჩაწერეთ **ქვეყანა***)

მ10	მ11	მ12	მ13	მ14
მიღებული დახმარება	ქვეყნები	გაწეული დახმარება	საქმიანობა	მოქალაქეობა
1. დიახ *ვინ?* _____ _____ _____ 2. არა	1. დიახ ა) *რამდენჯერ?* _____ ჯერ ბ) ქვეყნები: _____ _____ 2. არა	1. დიახ *ვის?* _____ _____ 2. არა		_____
1. დიახ *ვინ?* _____ _____ _____ 2. არა	1. დიახ ა) *რამდენჯერ?* _____ ჯერ ბ) ქვეყნები: _____ _____ 2. არა	1. დიახ *ვის?* _____ _____ 2. არა		_____
1. დიახ *ვინ?* _____ _____ _____ 2. არა	1. დიახ ა) *რამდენჯერ?* _____ ჯერ ბ) ქვეყნები: _____ _____ 2. არა	1. დიახ *ვის?* _____ _____ 2. არა		_____
1. დიახ *ვინ?* _____ _____	1. დიახ ა) *რამდენჯერ?* _____ ჯერ ბ) ქვეყნები: _____ _____	1. დიახ *ვის?* _____ _____		_____

_____ 2. არა	2. არა	2. არა		

დახმარება

რ1. ბოლო 12 თვის მანძილზე მიიღო თუ არა თქვენმა ოჯახმა რაიმე დახმარება ოჯახის იმ წევრისგან (წევრებისგან), რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება?

1. დიახ
2. არა –> *გადადით კითხვაზე* ***დ1***

რ2. რა დახმარება იყო ეს? *(წაიკითხეთ ვარიანტები. აღნიშნეთ რესპონდენტის **ყველა** პასუხი. იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ ოჯახის რამდენიმე წევრია წასული, ცალკე შეეკითხეთ საზღვარგარეთ მყოფი თითოეული ოჯახის წევრის შესახებ.)*

	ფული (+)	**პროდუქტი** (+)	**ტანსაცმელი** (+)	**საყოფაცხოვრებო ტექნიკა** (+)	**სხვა** *(ჩაწერეთ)*
პირველი წევრი					
მე-2 წევრი					
მე-3 წევრი					
მე-4 წევრი					

რ3. რომ შეაჯამოთ, საშუალოდ რა თანხის დახმარება მიიღო თქვენმა ოჯახმა ბოლო 12 თვის მანძილზე ოჯახის იმ წევრისგან (წევრებისგან), რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება? *(ჩაწერეთ თანხა და ფულადი ერთეული. იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ ოჯახის რამდენიმე წევრია წასული, ცალკე შეეკითხეთ საზღვარგარეთ მყოფი ყოველი ოჯახის წევრის შესახებ. ფულადი დახმარება ჩაწერეთ იმ ვალუტაში, რასაც რესპონდენტი დაასახელებს და სვეტში **"ფულადი ერთეული"** მიუთითეთ, რა ვალუტაა ეს)*

	თანხა	**ფულადი ერთეული**	
პირველი წევრი			
მე-2 წევრი			
მე-3 წევრი			
მე-4 წევრი			

რ4. ამ ბარათზე მოყვანილთაგან, რომელი შეესაბამება თქვენი ოჯახის საზღვარგარეთ მყოფი წევრის მიერ თქვენთვის გამოგზავნილი დახმარების სიხშირეს? *(უჩვენეთ ბარათი № 9, ერთი პასუხი)*

1. დაახლოებით თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად
2. დაახლოებით 2-3 თვეში ერთხელ
3. დაახლოებით წელიწადში 3-4-ჯერ
4. დაახლოებით წელიწადში 1-2-ჯერ
5. რამდენიმე წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად

რ5. ბოლო 12 თვის მანძილზე როგორ გზავნიდა თქვენი ოჯახის საზღვარგარეთ მყოფი წევრი ფულად დახმარებას? (*აღნიშნეთ რესპონდენტის **ყველა** პასუხი*)

1. საბანკო გადარიცხვები (საბანკო ანგარიშიდან საბანკო ანგარიშზე)
2. ფულადი გზავნილები (Western Union, MoneyGram, Contact, Anelik)

3. პირადად ჩამოჰქონდა
4. ატანდა ნაცნობს/მეგობარს/ნათესავს
5. ატანდა კურიერს/აგენტს/ავტობუსის მძღოლს
6. სხვა (*ჩაწერეთ*) _____
99 მიჭირს პასუხის გაცემა

რ6. **ბოლო 12 თვის მანძილზე თქვენი ოჯახის საზღვარგარეთ მყოფი წევრ(ებ)ის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება რა ტიპის ხარჯებისთვის იყო გამიზნული?** (*უჩვენეთ **<u>ბარათი №5</u>**; აღნიშნეთ რესპონდენტის <u>ყველა</u> პასუხი*)

1. პირველადი მოხმარების საქონლის / ტანსაცმლის / პროდუქტის შეძენა
2. საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა (მაცივარი, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და ა.შ.)
3. ავეჯის შეძენა
4. ავტომობილის შეძენა
5. ბინის რემონტი / მშენებლობა / შეძენა
6. ბინის ქირა / მიწის იჯარა
7. სამეწარმეო საქმიანობის დაწყება / ხელშეწყობა / განვითარება
8. სოფლის მეურნეობისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა
9. განათლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა
10. მკურნალობის ხარჯების დაფარვა
11. ქორწინებასთან / გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა
12. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები (სასუქი, საქონლის საკვები და სხვა)
13. ვალის დაფარვა
14. დანაზოგის გაკეთება
15. სხვა _____
98. თანხა არ იყო მიზნობრივი
99. მიჭირს პასუხის გაცემა

რ7. **რეალურად რაში დაიხარჯა ეს თანხა?** (*უჩვენეთ **<u>ბარათი №5</u>**; აღნიშნეთ რესპონდენტის <u>ყველა</u> პასუხი*)

1. პირველადი მოხმარების საქონლის / ტანსაცმლის / პროდუქტის შეძენა
2. საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა (მაცივარი, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და ა.შ.)
3. ავეჯის შეძენა
4. ავტომობილის შეძენა
5. ბინის რემონტი / მშენებლობა / შეძენა
6. ბინის ქირა / მიწის იჯარა
7. სამეწარმეო საქმიანობის დაწყება / ხელშეწყობა / განვითარება
8. სოფლის მეურნეობისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა
9. განათლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა
10. მკურნალობის ხარჯების დაფარვა
11. ქორწინებასთან / გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა
12. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები (სასუქი, საქონლის საკვები და სხვა)
13. ვალის დაფარვა
14. დანაზოგის გაკეთება
15. სხვა _____
99. მიჭირს პასუხის გაცემა

რ8. რაც თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ი წასულია საზღვარგარეთ, თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ისეთივე დარჩა თუ გაუარესდა იმასთან შედარებით, როგორიც იყო მის/მათ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე?

1. გაუმჯობესდა
2. ისეთივე დარჩა
3. გაუარესდა
99. მიჭირს პასუხის გაცემა

დაბრუნებული ემიგრანტები

დ1. თქვენი ოჯახის სრულწლოვანი წევრებიდან (18 წლიდან), რომლებიც ამჟამად თქვენთან ერთად ერთ სახლში ცხოვრობენ და რომლებთან ერთადაც ეწევით ერთობლივ მეურნეობას, არის თუ არა ვინმე, ვინც ნამყოფია საზღვარგარეთ და უკვე დაბრუნდა საქართველოში?

1. დიახ
2. არა → *<u>გადადით კითხვაზე შ1</u>*

დ2. თქვენი ოჯახის რამდენი სრულწლოვანი წევრი იმყოფებოდა საზღვარგარეთ და დაბრუნდა თიანეთში? *(ჩაწერეთ პასუხი)*

_____

<u>ინტერვიუერს:</u> შეავსეთ შემდეგი ცხრილი (კითხვები დ3-დ12) *ამ ოჯახის ყველა იმ <u>სრულწლოვან</u> (18 წლიდან) წევრთან დაკავშირებით, რომელიც იმყოფებოდა საზღვარგარეთ და დაბრუნდა თიანეთში; ოჯახის ყოველი საზღვარგარეთიდან დაბრუნებული წევრისთვის* ***გამოიყენეთ ამ ცხრილის ცალკე ჰორიზონტალური ხაზი.***

დ3. თქვენი ოჯახის რომელი წევრი იმყოფებოდა საზღვარგარეთ? *(ჩაწერეთ საზღვარგარეთ მყოფი ყველა ოჯახის წევრის* ***ნათესაური კავშირი*** *რესპონდენტთან)*

დ4. აღნიშნეთ საზღვარგარეთ მყოფი და დაბრუნებული ოჯახის წევრის სქესი.

დ5. რომელ ქვეყანაში იყო ის წასული? *(ჩაწერეთ ქვეყნის სახელი. თუ რამდენიმე ქვეყანაში იყო წასული, თანმიმდევრობით ჩაწერეთ ყველა იმ ქვეყნის სახელი, სადაც იმყოფებოდა)*

დ6. რამდენი წლისაა ის ამჟამად? (*ჩაწერეთ რამდენი წელი* ***შეუსრულდა***)

დ7. რა მიზნით წავიდა საზღვარგარეთ? (*აღნიშნეთ* ***ერთი*** *პასუხი*)

დ8. როდის გაემგზავრა საქართველოდან სულ პირველად? *(ჩაწერეთ გამგზავრების* ***წელი*** *და* ***თვე)***

დ9. როდის დაბრუნდა საქართველოში? *(ჩაწერეთ დაბრუნების* ***წელი*** *და* ***თვე)***

დ10. წაყვანილი ჰყავდა თუ არა თან არასრულწლოვანი შვილი/შვილები? (*აღნიშნეთ; თუ* "**დიახ**" – *ჩაწერეთ, რამდენი შვილი ჰყავდა წაყვანილი*)

დ11. დაეხმარა თუ არა მას ვინმე ნათესავი / ნაცნობი / მეგობარი საზღვარგარეთ გამგზავრებაში?
თუ "**დიახ**" – ვინ დაეხმარა? (*ჩაწერეთ* ***ნათესაური/მეგობრული კავშირი.*** *<u>არ ჩაწეროთ</u>* ***სახელი და გვარი***)

დ12. რაც წასული იყო, დაეხმარა თუ არა ის ვინმე თავის ახლობელს/ნათესავს/მეგობარს საზღვარგარეთ წასვლაში?
თუ "**დიახ**": ვის? *(ჩაწერეთ* ***ნათესაური/მეგობრული კავშირი.*** *<u>არ ჩაწეროთ</u>* ***სახელი და გვარი)***

დ3	დ4	დ5	დ6	დ7	დ8	დ9	დ10	დ11	დ12
ნათესაური კავშირი	სქესი	ქვეყანა / ქვეყნები	ასაკი	მიზანი	გამგზავრება	დაბრუნება	შვილები	მიღებული დახმარება	გაწეული დახმარება
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ _____	_____ წლის	1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა:	წელი: _____ თვე: _____	წელი: _____ თვე: _____	1. დიახ *რამდენი?* _____ 2. არა 98 არ ჰყავს შვილები	1. დიახ ვინ? _____ 2. არა	1. დიახ ვის? _____ 2. არა
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ _____	_____ წლის	1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა:	წელი: _____ თვე: _____	წელი: _____ თვე: _____	1. დიახ *რამდენი?* _____ 2. არა 98 არ ჰყავს შვილები	1. დიახ ვინ? _____ 2. არა	1. დიახ ვის? _____ 2. არა
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____	_____ წლის	1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა	წელი: _____ თვე:	წელი: _____ თვე:	1. დიახ *რამდენი?* _____ 2. არა	1. დიახ ვინ? _____	1. დიახ ვის? _____

		_____		4. სხვა:	_____	_____	98 არ ჰყავს შვილები	2. არა	2. არა

დ13. **იმ დროის მანძილზე, რაც თქვენი ოჯახის წევრი/წევრები წასულები იყვნენ საზღვარგარეთ, თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ისეთივე დარჩა თუ გაუარესდა?**

1. გაუმჯობესდა
2. ისეთივე დარჩა
3. გაუარესდა

99. მიჭირს პასუხის გაცემა

ოჯახის ბიუჯეტი

შ1. გთხოვთ ჩამოთვალოთ თქვენი ოჯახის შემოსავლის ყველა წყარო ბოლო სამი თვის მანძილზე. (*უჩვენეთ **<u>ბარათი №6</u>**, აღნიშნეთ რესპონდენტის <u>ყველა</u> პასუხი)*

1. ხელფასი ძირითადი სამუშაო ადგილიდან
2. ხელფასი დამატებითი სამსახურიდან
3. შემოსავლები საკუთარი ბიზნესიდან (ინდივიდუალური კერძო მეწარმეობის ჩათვლით)
4. ხელობით მიღებული შემოსავალი
5. პენსია
6. სოციალური დახმარება
7. სტიპენდია
8. დახმარება ბავშვებისთვის
9. ალიმენტები
10. საზღვარგარეთ მყოფი ნათესავების / მეგობრებისაგან მიღებული დახმარება
11. საქართველოში მყოფი ნათესავების / მეგობრებისაგან მიღებული დახმარება
12. სოფლის მეურნეობიდან მიღებული პროდუქტების რეალიზაცია
13. ოჯახიდან გამოტანილი ნივთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი
14. კერძო საკუთრების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი
15. სხვა (*ჩაწერეთ*) _____

_____

99. მიჭირს პასუხის გაცემა
999. უარი პასუხზე

შ2ა. **დაახლოებით რამდენს შეადგენდა თქვენი ოჯახის შემოსავალი გასულ თვეში?** (*მიუთითეთ თანხა **ლარებში**)*

შ2ბ. **დაახლოებით რამდენს შეადგენდა თქვენი ოჯახის ხარჯები გასულ თვეში?** (*მიუთითეთ თანხა **ლარებში**)*

შ2ა. შემოსავალი	**შ2ბ. ხარჯები**
_____ ლარი	_____ ლარი
999. მიჭირს პასუხის გაცემა	999. მიჭირს პასუხის გაცემა

შ3. **თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავლის დაახლოებით რამდენი პროცენტი იხარჯება კვებაზე?**

_____ %

999. მიჭირს პასუხის გაცემა

შ4. **ბოლო ერთი თვის მანძილზე, ძირითადად რაზე დაიხარჯა თქვენი ოჯახის შემოსავალი?** (*უჩვენეთ **ბარათი 15**; აღნიშნეთ რესპონდენტის **ყველა** პასუხი*)

1. პირველადი მოხმარების საქონლის / ტანსაცმლის / პროდუქტის შეძენა
2. საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა (მაცივარი, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და ა.შ.)
3. ავეჯის შეძენა
4. ავტომობილის შეძენა
5. ბინის რემონტი / მშენებლობა / შეძენა
6. ბინის ქირა / მიწის იჯარა
7. სამეწარმეო საქმიანობის დაწყება / ხელშეწყობა / განვითარება
8. სოფლის მეურნეობისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა
9. განათლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა
10. მკურნალობის ხარჯების დაფარვა
11. ქორწინებასთან / გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა
12. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები (სასუქი, საქონლის საკვები და სხვა)
13. ვალის დაფარვა
14. დანაზოგის გაკეთება
15. სხვა (*ჩაწერეთ*) _____

_____

99. მიჭირს პასუხის გაცემა
999. უარი პასუხზე

შ5. **აქვს თუ არა თქვენს ოჯახს ამჟამად ვალი?**

1 დიახ
2 არა
99. მიჭირს პასუხის გაცემა
999. უარი პასუხზე

პოტენციური ემიგრაცია

ტ1. **აპირებს თუ არა თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი, რომელიც ამჟამად თქვენთან ერთად ცხოვრობს ერთ სახლში და რომელთან ერთადაც ეწევით საერთო მეურნეობას, საზღვარგარეთ წასვლას უახლოესი ერთი წლის მანძილზე?**

1. დიახ
2. არა → *<u>გადადით კითხვაზე **ს1**</u>*

<u>ინტერვიუერს:</u> შეავსეთ შემდეგი ცხრილი.

შემდეგი ცხრილი (კითხვები ტ2-ტ14) ივსება ოჯახის ყველა იმ <u>სრულწლოვანი</u> წევრისათვის, რომელიც აპირებს საზღვარგარეთ წასვლას უახლოესი ერთი წლის მანძილზე. ოჯახის ყველა ასეთი წევრისათვის გამოიყენეთ ცხრილის ***ცალკე ჰორიზონტალური ხაზი****.*

ტ2. თქვენი ნათესაური კავშირი? *(ჩაწერეთ ასეთი ოჯახის წევრ(ებ)ის* ***ნათესაური კავშირი*** *რესპონდენტთან)*

ტ3. მისი სქესი?

ტ4. რამდენი წლისაა ის ამჟამად? (*ჩაწერეთ რამდენი წელი* ***შეუსრულდა***)

ტ5. რა განათლება აქვს მიღებული? (*ბარათი №1*)

ტ6. მისი ოჯახური მდგომარეობა? (*უჩვენეთ ბარათი №3; ჩაწერეთ კოდი*)

ტ7. არის თუ არა ეს ადამიანი უკვე ნამყოფი საზღვარგარეთ 1991 წლის შემდეგ?

ტ8. რომელ ქვეყანაში აპირებს წასვლას? (*ჩაწერეთ ქვეყანა)*

ტ9. რა მიზნით აპირებს საზღვარგარეთ წასვლას? (*აღნიშნეთ* ***ერთი*** *პასუხი*)

ტ2	ტ3	ტ4	ტ5	ტ6	ტ7	ტ8	ტ9
ნათესაური კავშირი	სქესი	ასაკი	განათლება (ბარათი №1)	ოჯახური მდგომარეობა (ბარათი №2)	ნამყოფია საზღვარგარეთ?	ქვეყანა	გამგზავრების მიზანი
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ წლის			1. დიახ 2. არა	_____	1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა: _____
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ წლის			1. დიახ 2. არა	_____	1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა: _____
	1. მამაკაცი 2. ქალი	_____ წლის			1. დიახ 2. არა	_____	1. მუშაობა 2. სწავლა 3. მოგზაურობა 4. სხვა: _____

ტ10. მიღებული აქვს თუ არა შესაბამისი ქვეყნის ვიზა?

ტ11. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს დარჩება ის საზღვარგარეთ? (*უჩვენეთ ბარათი №7; ჩაწერეთ შესაბამისი კოდი*)

ტ12. ეხმარება თუ არა მას ვინმე ნათესავი / ნაცნობი / მეგობარი საზღვარგარეთ გამგზავრებაში?

თუ "**არა**" –> *გადადით კითხვაზე* **ს1**

ტ13. ვინ ეხმარება? (*ჩაწერეთ* ***ნათესაური / მეგობრული კავშირი. არ ჩაწეროთ*** *სახელი და გვარი*)

ტ14. რაში გამოიხატება ეს დახმარება? (*ჩაწერეთ*)

ტ10	ტ11	ტ12	ტ13	ტ14
ვიზა	ემიგრაციის ხანგრძლივობა (ბარათი 16)	მიღებული დახმარება	ვინ ეხმარება?	როგორ ეხმარება?
1. დიახ 2. არა		1. დიახ 2. არა -> გადადით კითხვაზე **ს1**	_____	

1. დიახ 2. არა		1. დიახ 2. არა -> გადადით კითხვაზე **ს1**	_____	
1. დიახ 2. არა		1. დიახ 2. არა -> გადადით კითხვაზე **ს1**	_____	

ს. ოჯახის სოციალური მდგომარეობა

სანამ ჩვენს გამოკითხვას დავამთავრებდეთ, გვინდა დაგისვათ რამდენიმე კითხვა თქვენი ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ.

ს1. წარმოიდგინეთ, რომ არსებობს 10 საფეხური, რომლებიც შეესაბამება ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში. პირველი საფეხური შეესაბამება ყველაზე დაბალ მდგომარეობას, მეათე კი – ყველაზე მაღალს (*უჩვენეთ **ბარათი №8***). თქვენი აზრით:

A. რომელ საფეხურზე იმყოფებით **ამჟამად**? *(აღნიშნეთ **ერთი** პოზიცია ქვემოთ მოყვანილი ცხრილის A სვეტში)*

B. რომელ საფეხურზე იყავით **1990 წელს, სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა**? *(აღნიშნეთ **ერთი** პოზიცია ქვემოთ მოყვანილი ცხრილის B სვეტში)*

C. თქვენი აზრით, რომელ საფეხურზე იქნებით **10 წლის შემდეგ**? *(აღნიშნეთ **ერთი** პოზიცია ქვემოთ მოყვანილი ცხრილის C სვეტში).*

	A. ამჟამად	B. 1990 წელს	C. 10 წლის შემდეგ
(ყველაზე მაღალი) X	10	10	10
IX	9	9	9
VIII	8	8	8
VII	7	7	7
VI	6	6	6
V	5	5	5
IV	4	4	4
III	3	3	3
II	2	2	2
I (ყველაზე დაბალი)	1	1	1
		0 (რესპონდენტი ძალიან ახალგაზრდაა)	0 (რესპონდენტი ხანდაზმულია)

ს2. როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას – როგორც ძალიან კარგს, კარგს, საშუალოს, ცუდს თუ ძალიან ცუდს?

1. ძალიან კარგი
2. კარგი
3. საშუალო
4. ცუდი
5. ძალიან ცუდი

ს3. როგორ შეაფასებდით ზოგადად დაბა თიანეთის მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას – როგორც ძალიან კარგს, კარგს, საშუალოს, ცუდს თუ ძალიან ცუდს?

1. ძალიან კარგი
2. კარგი
3. საშუალო
4. ცუდი
5. ძალიან ცუდი

ინტერვიუერს: მოხდა თუ არა ისე, რომ კითხვარის შევსების პროცესში რესპონდენტს დაეხმარა ოჯახის სხვა წევრი?

1. დიახ
2. არა

გთხოვთ მიუთითოთ ყველა იმ ადამიანის სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონი, ვინც მონაწილეობა მიიღო კითხვარის შევსებაში.

სახელი, გვარი	ტელეფონის ნომერი

დიდი მადლობა!

დანართი 2.
1) სადისკუსიო გეგმა
საქართველოში დაბრუნებულ ემიგრანტებთან ინტერვიუს ჩასატარებლად

[მისალმება, კვლევის მიზნების გაცნობა]

[ემიგრანტის მოკლე ბიოგრაფია: ასაკი, განათლება, ოჯახული მდგომარეობა, დასაქმება]
- როდის წავიდა საზღვარგარეთ პირველად, რომელ ქვეყანაში/ქალაქში.

[მირგაციის ისტორია]
- რა იყო ის ძირითადი მიზეზი/მიზეზები, რის გამოც გადაწყვიტეთ საზღვარგარეთ წასვლა? თუ გაიხსენებთ, როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება? რა აზრები, რა მოვლენები, რა საუბრები გახსენდებათ ამ გადაწვეტილების მიღებასთან დაკავშირებით? ეს თქვენი ინდივიდუალური გადაწყვეტილება იყო, თუ სხვებიც იყვნენ ჩართულნი ამ გადაწვეტილების მიღებაში? **<u>თუ კი</u>** – ვინ? [ოჯახის წევრები; მეგობრები; სხვა ემიგრანტები] თუ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მთელი ოჯახი იყო ჩართული, ვისი აზრი აღმოჩნდა გადამწყვეტი, და რატომ?
- რა არგუმენტები იყო წასვლის მხარადმჭერი? რა არგუმენტები იყო წასვლის საწინააღმდეგო?
- იქ წასვლის ძირითადი მიზანი რა იყო? [ოჯახის დახმარება, ახალი ქვეყნის ნახვა, ენის შესწავლა]
- რამ განაპირობა, რომ მაინცდამაინც ამ ქვეყანაში წახვედით?
[ნაცნობები/ნათესავები/მეგობრები თუ დაეხმარნენ? **<u>თუ კი</u>** - რამდენად მნიშნველოვანი იყო ის დახმარება, რაც მათ აღმოუჩინეს? კონკრეტულად რა სახის დახმარება იყო ეს? **თუ მისი წასვლა ამა თუ იმ ქვეყანაში განპირობებული იყო ამ დახმარებით, საზღვარგარეთ რომ არ ყოფილიყვნენ უკვე წასულები ნათესავები/მეგობრები/ნაცნობები, წავიდოდა თუ არა მაინც ემიგრაციაში? თუ არა/კი – რატომ?**

[მარშრუტი]
- როგორ წახვედით? [ვიზის ტიპი, სამგზავრო თანხა, მარშრუტი].
- ვიზის გაკეთებასთან დაკავშირებით თუ გქონდათ რამე პრობლემა?
- რა თანხა დასჭირდა გასამგზავრებლად? სამგზავროდ საჭირო თანხის წარმომავლობა? [ვალი – რა სახის (პროცენტიანი, უპროცენტო?)]
- ვინ დაგეხმარათ [შუამავლები? ვალები?] [ქვეყნის შერჩევა თუ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი ქვეყნის ვიზის "გაკეთება" უფრო იაფი ჯდებოდა?]

- საზღვარგარეთ თუ დაგხვდათ ვინმე ნაცნობი/მეგობარი/ნათესავი? **თუ კი – <u>ვინ</u>? რამე დახმარება ხომ არ აღმოგიჩინეს [ბინა/სამსახური]? რა/როგორი დახმარება?**
- ვინ დაგეხმარათ?
- რამდენად ხანგრძლივი იყო ეს დახმარება?

- იყვნენ თუ არა იმ ქალაქში/სოფელში, სადაც თქვენ ცხოვრობდით, სხვა ქართველი/თიანელი ემიგრანტები?
- ადრევე იცნობდით მათ თუ იქ გაიცანით?
- რა ურთიერთობები გქონდათ იქაურ ქართველებთან/თიანელებთან?
- ერთად ხომ არ ქირაობდით ბინას?

- რაც წასული იყავით, დაეხმარეთ თუ არა რომელიმე თქვენს მეგობარს/ნათესავს/ნაცნობს/ოჯახის წევრს საზღვარგარეთ წასვლაში?
თუ კი – ვის? როგორი/რა დახმარება აღმოუჩინეთ? [იმავი ქვეყანაში სადაც თვითონ იყო თუ სხვა ქვეყანაში?] [სცადა დახმარება მაგრამ არ გამოუვიდა – რატომ? მიზეზები?]
- ვისი ინიციატივით მოხდა ეს?

- რამდენად ხშირად უკავშირდებოდით ოჯახს? როგორ უკავშირდებოდით?
- ახერხებდით თუ არა ოჯახის დახმარებას? რა სახის დახმარება იყო ეს? [ყოველთვიური მემტ-ნაკლებად სტაბილური თანხა, ნივთები, ინვესტიცია]?
- რაში/როგორ იხარჯება ეს დახმარება?
- იყო თუ არა პერიოდი, როდესაც ვერ ახერხებდით ვერაფრის გამოგზავნას? რა შემთხვევაში ხდებოდა ეს?

- თქვენი შეფასებით, საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, რა იყო ამ გამოცდილების ყველაზე უფრო დადებითი მხარეები?
- და რა იყო ყველაზე უფრო უარყოფითი მხარეები?
- თუ გავითვალისწინებთ თქვენი ამ გამოცდილების როგორც უარყოფით, ასევე დადებით მხარეებს, თქვენი აზრით, რომელი "გადაწონის", რა უფრო მეტი იყო ამ გამოცდილებაში: დადებითი მხარე თუ უარყოფითი მხარე? რატომ?

[რეტროსპექცია]
- ეხლა რომ იღებდეთ გადაწყვეტილებას საზღვარგარეთ წასვლის შესახებ, მას შემდეგ, რაც უკვე გაქვთ საზღვარგარეთ ცხოვრების და მუშაობის გამოცდილება, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდით?
- როგორ ფიქრობთ, საბოლოო ჯამში, თქვენი საზღვარგარეთ წასვლა და მუშაობა, პირადად თქვენთვის, დადებითი გამოცდილება იყო თუ უარყოფითი? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, თქვენი საზღვარგარეთ ყოფნა რომ არა, როგორ მატერიალურ მდგომარეობაში იქნებოდა თქვენი ოჯახი იმ დროის მანძილზე რაც წასული იყავით?

- როდის დაბრუნდით?
- რატომ დაბრუნდით?
- მას შემდეგ რაც დაბრუნდით, ხომ არ ნანობთ? რატომ?
- რას საქმიანობთ დაბრუნების შემდეგ?

- კიდევ ხომ არ ფიქრობთ საზღვარგარეთ წასვლაზე?
- საშუალება რომ გქონდეთ, კიდევ წახვიდოდით თუ არა? რატომ? **თუ კი** – ისევ იმ ქვეყანაში თუ სადმე სხვაგან? რატომ?

- თქვენი თიანელი ნაცნობებიდან, რამდენი ადამიანია წასული საზღვარგარეთ?
- რომელ ქვეყნებში არიან ისინი?

- ძირითადად მამაკაცები არიან წასულები თუ ქალები?
- რა ასაკის?

2) სადისკუსიო გეგმა

პოტენციური ემიგრანტები

[მისალმება, კვლევის მიზნების გაცნობა]

[პოტენციური ემიგრანტი:]

- [სქესი,] ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა; რას საქმიანობს [მუშაობდა/არ მუშაობდა, დასაქმების ისტორია; შემოსავალი]
- სად დაიბადეთ?
- ხართ თუ არა ნამყოფი საქართველოს ფარგლებს გარეთ? [საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრების რამდენად ხანგრძლივი/მნიშნველოვანი გამოცდილება გაქვთ?]

- რა არის ის ძირითადი მიზეზ(ებ)ი, რის გამოც თქვენ გაქვთ სურვილი რომ წახვიდეთ საზღვარგარეთ?

- ძირითადი მიზანი, რისთვისაც გინდათ წასვლა [მუშაობა, ოჯახის დახმარება, ახალი ქვეყნის ნახვა, ენის შესწავლა]

- რამდენი ხანია, რაც გადაწყვეტილი გაქვთ, რომ საზღვარგარეთ წახვიდეთ?

- როგორ მოხდა გადაწყვეტილების მიღება გამგზავრების შესახებ? [ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად იქნა მიღებული? თუ ეს მთელმა ოჯახმა გადაწყვიტა? რა არგუმენტები იყო წასვლის მხარადმჭერი? რა არგუმენტები იყო წასვლის საწინააღმდეგო? თუ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მთელი ოჯახი იყო ჩართული, ვისი აზრი აღმოჩნდა გადამწყვეტი, და რატომ?]

- რომელ ქვეყანაზე შეჩერდა თქვენი არჩევანი? რატომ/როგორ მოხდა ამ ქვეყნის შერჩევა? სხვა რა ქვეყნებს განიხილავდით? / რამ განაპირობა, რომ საბოლოდ მაინცდამაინც ამ ქვეყანაში გადაწყვიტეთ წასვლა? [ნაცნობები/ნათესავები/მეგობრები]
- რომელ დასახლებულ პუნქტში მიემგზავრებით? რატომ/როგორ მოხდა კონკრეტულად ამ დასახლებული პუნქტის შერჩევა?
- როდის გეგმავთ გამგზავრებას? [უკვე ხომ არ სცადეთ წასვლა, მაგრამ ვერ მოახერხეთ? რა მიზეზით ვერ მოახერხეთ?]
- გეხმარებათ თუ არა ვინმე გამგზავრებაში? <u>**თუ კი – ვინ?**</u> **კონკრეტულად როგორ/რით გეხმარებიან?** [მატერიალური VS. არამატერიალური დახმარება] რამდენად მნიშნველოვანია ეს დახმარება? [მოახერხებდით თუ არა წასვლას, ეს დახმარება რომ არ იყოს?] **თუ თქვენი წასვლა ამა თუ იმ ქვეყანაში განპირობებულია ამ დახმარებით:**
- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ თუ არა საზღვარგარეთ წასული [ახლობლები], რომლებიც ამჟამად გეხმარებიან წასვლაში, თქვენ არც კი იფიქრებდით საზღვარგარეთ გამგზავრებას?
<u>**- საზღვარგარეთ რომ არ ყოფილიყვნენ უკვე წასულები ნათესავები/მეგობრები/ნაცნობები, თქვენ გაგიჭირდებოდათ ემიგრაციაში წასვლა? თუ არა/კი – რატომ?**</u>

[ვიზა]

- უკვე სცადეთ თუ არა ვიზის მიღება? რამდენჯერ?
- ვიზის მიღებასთან დაკავშირებით თუ გქონდათ რაიმე პრობლემა? რა სახის პრობლემება? ვინ დაგეხმარათ/როგორ დაგეხმარათ [შუამავლები?]
[ქვეყნის შერჩევა თუ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი ქვეყნის ვიზის "გაკეთება" უფრო იაფი ჯდებოდა?]

- რა თანხაა საჭირო გასამგზავრებლად? სამგზავროდ საჭირო თანხის წარმომავლობა? [ვალი? – ვისი ვალი, რა სახის (პროცენტიანი, უპროცენტო?)]
თუ ვალი: რამდენ ხანში გეგმავთ ამ ვალის დაფარვას?

- საზღვარგარეთ რომ წახვალთ, იქ დაგხვდებათ ვინმე ნაცნობი/მეგობარი/ნათესავი? **თუ კი – <u>ვინ</u>?**
როგორ ფიქრობთ, დაგეხმარებიან თუ არა ისინი ბინის/სამსახურის პოვნაში? ვინ დაგეხმარებათ? კერძოდ, რაში დაგეხმარებათ?

- არიან თუ არა იმ ქალაქში/სოფელში, სადაც თქვენ აპირებთ წასვლას, სხვა ქართველი/თიანელი ემიგრანტები?
- ხომ არ იცით, რა ურთიერთობები აქვთ იქაურ ქართველებს/თიანელებს ერთმანეთთან?

- როდესაც თქვენი გამგზავრების შესახებ ფიქრობთ, რა გრძნობები სჭარბობს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით? [იმედი/შიში/სიხარული/დარდი?]
- როდესაც თქვენს გამგზავრებაზე ფიქრობთ, ყველაზე მეტად რა გაფიქრებთ/გადარდებთ ამასთან დაკავშირებით?
- და რა გახარებთ/გაწყნარებთ ამასთან დაკავშირებით?

- ხომ არ გსმენიათ იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ წასულ თიანელ ემიგრანტებს დახმარება აღმოეჩინოთ თავისი მეგობარისათვის/ნათესავისთვის/ნაცნობისთვის/ოჯახის წევრისათვის საზღვარგარეთ წასვლაში? **თუ კი – ვის? როგორი/რა დახმარება აღმოუჩინა? რამდენი ასეთი შემთხვევა შეგიძლიათ გაიხსენოთ?**

- თქვენი თიანელი ნაცნობებიდან, დაახლოებით რამდენი ადამიანია წასული საზღვარგარეთ?
- რომელ ქვეყნებში არიან ისინი?
- ძირითადად მამაკაცები არიან წასულები თუ ქალები?
- რა ასაკის?

- თქვენი თიანელი ნაცნობებიდან, დაახლოებით რამდენ ადამიანს იცნობთ, ვისაც გადაწყვეტილი აქვს საზღვარგარეთ წასვლა უახლოეს პერიოდში? [საკონტაქტო ინფორმაცია]
- რომელ ქვეყანაში სურთ წასვლა?
- ძირითადად მამაკეცებს თუ ქალებს სურთ წასვლა?
- რა ასაკის არიან?
- ალბათ, ზოგი ახერხებს წასვლას და ზოგი ვერ ახერხებთ – ისინი, ვინც ვერ ახერხებენ წასვლას, თქვენი აზრით, ძირითადად, რის გამო ვერ ახერხებენ? რა უშლით ხელს, რომ საზღვარგარეთ წავიდნენ?

- რაც შეეხება მათ, ვინც ახერხებს წასვლას – თქვენი აზრით, პირველ რიგში რა უწყობს მათ ხელს ამაში?

- ბოლო ერთი წლის მანძილზე, რამდენი თქვენი ნაცნობი წავიდა საზღვარგარეთ?
- რომელ ქვეყნებში?
- ძირითადად მამაკაცები თუ ქალები?
- რა ასაკის?

3) სადისკუსიო გეგმა

ინტერვიუს ჩასატარებლად ამჟამინდელი ემიგრანტების ოჯახის წევრებთან

[მისალმება, კვლევის მიზნების გაცნობა]

- თქვენი ოჯახის რამდენი წევრია წასული საზღვარგარეთ?
  [თუ რამდენიმეა წასული, შემდეგი კითხვები პირველ რიგში შეეხება იმ ემიგრანტს, რომელიც პირველი წავიდა]

[ემიგრანტი:]

- ემიგრანტის [სქესი,] ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა; რას საქმიანობდა წასვლამდე [მუშაობდა/არ მუშაობდა, შემოსავალი;?]

- როდის [წელი, თვე] წავიდა ის საზღვარგარეთ?

- რა იყო ძირითადი მიზეზ(ებ)ი, რამაც გამოიწვია მისი საზღვარგარეთ წასვლა?

- ძირითადი მიზანი, რისთვისაც წავიდა [მუშაობა, ოჯახის დახმარება, ახალი ქვეყნის ნახვა, ენის შესწავლა]

- როგორ მოხდა გადაწყვეტილების მიღება გამგზავრების შესახებ? [ემიგრანტმა ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო? თუ ეს მთელმა ოჯახმა გადაწყვიტა? რა არგუმენტები იყო წასვლის მხარადმჭერი? რა არგუმენტები იყო წასვლის საწინააღმდეგო? თუ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მთელი ოჯახი იყო ჩართული, ვისი აზრი აღმოჩნდა გადამწყვეტი, და რატომ?]

- რომელ ქვეყანაში წავიდა? რატომ/როგორ მოხდა ამ ქვეყნის შერჩევა? / რამ განაპირობა, რომ მაინცდამაინც ამ ქვეყანაში წასულიყო? [ნაცნობები/ნათესავები/მეგობრები თუ დაეხმარნენ? <u>თუ კი</u> - რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის დახმარება, რაც მას აღმოუჩინეს? კონკრეტულად რა სახის დახმარება იყო ეს? **თუ მისი წასვლა ამა თუ იმ ქვეყანაში განპირობებული იყო ამ დახმარებით,**
<u>**საზღვარგარეთ რომ არ ყოფილიყვნენ უკვე წასულები ნათესავები/მეგობრები/ნაცნობები, წავიდოდა თუ არა მაინც ემიგრაციაში? თუ არა/კი – რატომ?**</u>

- ამჟამადაც იქ იმყოფება?
  [სულ რამდენი ქვეყანა გამოიცვალა\რამდენი წელი/თვე დაჰყო ამ ქვეყნებში]
  [თუ რამდენიმე ქვეყანა გამოიცვალა – რა იყო ამ ქვეყნების გამოცვლის მიზეზიები?]

- როგორ წავიდა? [ვიზის ტიპი; მარშრუტი]
- ვიზის გაკეთებასთან დაკავშირებით თუ ჰქონდა რაიმე პრობლემა? ვინ დაეხმარა [შუამავლები?]
- რა თანხა დასჭირდა გასამგზავრებლად? სამგზავროდ საჭირო თანხის წარმომავლობა? [ვალი? – ვისი ვალი, რა სახის (პროცენტიანი, უპროცენტო?)]

[ქვეყნის შერჩევა თუ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი ქვეყნის ვიზის "გაკეთება" უფრო იაფი ჯდებოდა?]

- საზღვარგარეთ თუ დახვდა ვინმე ნაცნობი/მეგობარი/ნათესავი? **თუ კი – ვინ?**
რამე დახმარება ხომ არ აღმოუჩინეს? რა/როგორი დახმარება? ვინ დაეხმარა?
- რამდენად ხანგრძლივი იყო ეს დახმარება?

- არიან თუ არა იმ ქალაქში/სოფელში სადაც ის ამჟამად ცხოვრობს, სხვა ქართველი/თიანელი ემიგრანტები?
- ადრევე იცნობდა? იქ გაიცნო?
- რა ურთიერთობები აქვთ იქაურ ქართველებს/თიანელებს ერთმანეთთან? ბინას ერთად ქირაობენ თუ ცალკე?

- რაც წასულია, დაეხმარა თუ არა რომელიმე თავის მეგობარს/ნათესავს/ნაცნობს/ოჯახის წევრს საზღვარგარეთ წასვლაში? **თუ კი – ვის? როგორი/რა დახმარება აღმოუჩინა? ვისი ინიციატივით მოხდა ეს – ემიგრანტის თუ არა?**

- ამჟამად აქვს თუ არა საზღვარგარეთ ყოფნის ლეგალური სტატუსი და მუშაობის უფლება?
- ამჟამად სად მუშაობს? რას აკეთებს კონკრეტულად?
- რამდენად რეგულარულია/სტაბილურია მისი სამსახური?
- თუ იციან: აქვს თუ არა იქ გარკვეული "სათადარიგო" თანხა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის? რამდენი?

[დახმარება:]
- რამდენად ახერხებს ოჯახის დახმარებას? თუ ვერ ახერხებს – ადრე თუ ახერხებდა?
- რა სახის დახმარებაა [ყოველთვიური მემტ-ნაკლებად სტაბილური თანხა, ნივთები, ინვესტიცია]? რაში/როგორ იხარჯება ეს დახმარება? [დახმარების რეგულარულობა].
- ვინ არის ოჯახში გამოგზავნილი დახმარებით ძირითადი/მთავარი მიმღები?
- რამდენად მნიშვნელოვანია ამ ოჯახისათვის ეს დახმარება? ეს დახმარება რომ არ იყოს, რა მდგომარეობაში იქნებოდა ეს ოჯახი? და რა მდგომარეობაშია ეს ოჯახი ახლა, დახმარების პირობებში?
- მომხდარა თუ არა ისე, რომ რაიმე პრობლემების გამო გარკვეული პერიოდის მანძილზე ვეღარ ახერხებდა ოჯახის დახმარებას [თვე]? თუ მომხდარა, როგორ გადაიტანეთ ეს პერიოდი? [ვალები]? როგორ გადაიტანა ეს პერიოდი თავად ემიგრანტმა?
- როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას თქვენს გარშემო მყოფი ოჯახების მდგომარეობასთან შედარებით, რომლის წევრიც არ იმყოფება საზღვარგარეთ სამუშაოდ? რატომ?
- როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას თქვენს გარშემო მყოფი ოჯახების მდგომარეობასთან შედარებით, რომლის წევრიც ასევე იმყოფება საზღვარგარეთ სამუშაოდ? რატომ?

[კონტაქტები ოჯახთან]
- ამ პერიოდში, რაც წასულია, იყო თუ არა ჩამოსული?
თუ კი – რამდენჯერ? თუ არა – რატომ ვერ ახერხებს? [არალეგალური სტატუსი? ფინანსები?]

- როგორ უკავშირდებით ერთმანეთს? [ოჯახი რეკავს, ის რეკავს, ინტერნეტი, ჩვეულებრივი წერილები]
- იცით თუ არა მისი ბინის მისამართი? სამსახურის მისამართი? აქვს თუ არა ტელეფონი? მობილური ტელეფონი? იცით თუ არა ნომერი? ვინ უფრო ხშირად რეკავს – თქვენ თუ ის?
- თიანეთში დარჩენილი ოჯახის წევრებიდან, ვინ სწერს მას წერილებს ყველაზე ხშირად? რატომ ის და არა ოჯახის რომელიმე სხვა წევრი?
- რას იწერება წერილებში/რას ამბობს სატელეფონო საუბრებში? გაუჭირდა თუ არა იქაურ ცხოვრებასთან შეგუება? თუ გაუჭირდა – ყველაზე მეტად რა გაუჭირდა? სურათებს/ვიდეოკასეტებს თუ გზავნის? რა არის ყველაზე უფრო ხშირად ასახული ამ სურათებზე/ვიდეოკასეტებზე?
[თუ შეიძლება ამ სურათების/ვიდეო კასეტების ნახვა? წერილების წაკითხვა?]
- თავის წერილებში/სატელეფონო საუბრებში, რას ამბობს ხოლმე მომავალთან/სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით?
- აპირებს თუ არა ჩამოსვლას? თუ არა – რატომ? თუ კი – რატომ და როდის? რა შემთხვევაში ჩამოვიდოდა? [სამსახური? შემოსავალი?]

[რეტროსპექცია]
- ეხლა რომ იღებდნენ გადაწყვეტილებას მისი საზღვარგარეთ წასვლის შესახებ, ისევ იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდა ოჯახი, თუ არა? რატომ?

- თქვენი თიანელი ნაცნობებიდან, დაახლოვებით რამდენი ადამიანია წასული საზღვარგარეთ?
- რომელ ქვეყნებში არიან ისინი?
- ძირითადად მამაკაცები არიან წასულები თუ ქალები?
- რა ასაკის?